

რატომ კარბავენ თავიანთ შემოსავლებს საქართველოში მოქმედი არაბი და ყაზახი ინვესტორები

ჟურნალი “თბილისელები” – 13-19 ოქტომბერი, № 42, 2008

იპოთეკური კრიზისი, რომლის აკვანიც, ბედის მუხანათობის გამო, სწორედ დემოკრატიის აკვანში დაირწა და მთელი მსოფლიოს ფინანსებს რომანსები ამღერა, თავის ფინიშს უახლოვდება: ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებამ საფინანსო სექტორის 700-მილიარდიანი ინიექციის შესახებ მსოფლიო უკვე დააწყნარა, რაც, ექსპერტების ვარაუდით, კარგი დასაწყისია. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საფინანსო სექტორი, რაოდენ საწყენიც უნდა იყოს, განუვითარებელი და არაინტეგრირებულია, მსოფლიო საფინანსო რყევები მასზე მხოლოდ ირიბ გავლენას თუ მოახდენდა, სამაგიეროდ, ჩვენს სამშობლოში ეკონომიკას სხვა მხარეებიდან ელის არცთუ მცირებადი რყევები, რის განხილვასაც ეკონომიკის ექსპერტთან – ლადო კაპაშასთან ერთად შევეცდებით.

– გასულ კვირას პრეზიდენტმა თქვა, რომ საქართველოს ჰყავს ეფექტური მთავრობა, ამიტომაც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ჩვენს ეკონომიკაზე ვერ მოახდენს დამანგრეველ გავლენასო. მხოლოდ ეს არის მიზეზი?

– პრეზიდენტს ვეთანხმები, ჩვენი მთავრობა იყო და არის ეფექტური, მაგრამ ის ნაკლებ ეფექტიანია, ანუ – ნაკლებ შედეგიანი. რაც შეეხება პრობლემის არსს: მსოფლიო ბაზრებზე კრიზისის მიზეზი უწინარეს ყოვლისა არის შეერთებული შტატების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი,

ვგულისხმობ გაზრდილ ხარჯებს იმ სამხედრო კამპანიებში, რომელსაც აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატები ერაყსა თუ ავღანეთში. ეს არის საკმაოდ დიდი ხარჯი, რომელმაც დაამახინჯა ამერიკის ეკონომიკა და ნაკლებ მწარმოებლური გახდა ის, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ამიტომაც ამერიკელთა დიდი არმია უუნარო გახდა დააბრუნოს უძრავი ქონების შექმნისას სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციებიდან აღებული სესხები. შესაბამისად, ბანკი ვერ იბრუნებს გაცემულ სესხს, მას რჩება სახლები და ბინები, მაგრამ ბანკს უნდა ფული, რადგან მყიდველი ცოტაა, ბინებისა და სახლების ფასი იკლებს. ამ კრიზისის აკვანი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაირწა, მაგრამ, რადგანაც დღეს მსოფლიო ფინანსური ბაზრები ინტეგრირებულია ეს კრიზისიც გასცდა ამერიკის საზღვრებს.

როდესაც არაერთი კომპანიის აქციების ფასი ეცემა, ყველა ცდილობს, თავიდან მოიშოროს ეს ფასიანი ქაღალდები, რაც ქმნის გარკვეულ პანიკასაც. აი, ეს არის ძირითადი მიზეზი იმ კრიზისისა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა.

– პრეზიდენტი გვარწმუნებს, რომ რუსეთის ეკონომიკა აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩამოიშალა და მას არნახული ზიანი მიაღდა. მართლაც მხოლოდ ამიტომ?

– რუსეთის ფინანსური ბაზარი არ არის იმდენად განვითარებული, რომ იქ არსებული კრიზისი მხოლოდ გლობალური კრიზისი შედეგი იყოს. რუსული პრობლემა სულ სხვა პრობლემაა: ის გამოწვეულია იმ მცდარი ნაბიჯებით, რომლებიც რუსეთმა საქართველოში გადადგა. სანქციების დაწესებაზე საუბარიც კი საკმარისია, რომ რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების მკატრონეებს აღარ უნდოდეთ რუსულ ბაზარზე დარჩენა, ამიტომ მათ დაიწყეს ამ ფასიანი ქაღალდების თავიდან მოშორება. ეს პანიკა ყველას გადაეცემა: არა მხოლოდ უცხოელ, არამედ ადგილობრივ, რუს, ინვესტორებსაც, რომლებსაც თავიანთი კაპიტალი უცხოეთში გააქეთ. ასე, რომ რუსული საფინანსო კრიზისი არის არა იმდენად ამერიკიდან წამოსული საფინანსო ტალღით გამოწვეული, არამედ სუფთა რუსული მოვლენაა. თუმცა მის “ორ” პრეზიდენტს ხელს

აძლევს, რომ ეს მსოფლიო გლობალური კრიზისის გამოძახილად გამოაცხადოს. რაც შეეხება საქართველოს: საქართველოს ფინანსური ბაზარი პრაქტიკულად განუვითარებელია.

– რა კარგია ხანდახან განუვითარებლობა.

– ამდენად, არ არსებობს ის საფრთხე, რომ ჩვენი კომპანიების ფასიანი ქაღალდები გაუფასურდეს. ეს შეეხება მხოლოდ იმ კომპანიებს, რომელთა ფასიანი ქაღალდებიც სხვადასხვა საერთაშორისო ბირჟებზე იყიდება. უცბად საქართველოს ბანკის გარდა, ვერც ვიხსენებ, თუ არის კიდევ სხვა მსგავსი ორგანიზაცია. ამიტომ გლობალური კრიზისი იმ ტალღით, როგორითაც ის ევროპაში შევიდა, ვერ შემოვა ქართულ ბაზარზე, რადგან არ ვართ ინტეგრირებული მსოფლიო საფინანსო სისტემაში, მაგრამ ეს კრიზისი ჩვენზე მაინც აისახება. ის, რომ არ გვაქვს განვითარებული საფინანსო ბაზარი ეს შეუძლებელს ხდის ვიანგარიშით ფასიანი ქაღალდების ინდექსები. ამასთან მიმართებაში გამოვიყენებ ჩემი მეგობრის, პროფესორ მერაბ კაკულიას, გამონათქვამს: “საქართველოში ის კი არ არის პრობლემა, არის თუ არა ქართული ეკონომიკა ავად, არამედ ის, რომ არ გვაქვს თერმომეტრი, რომ გავზომოთ სიცხე”. რაც შეეხება იმას, თუ რა მიმართულებით მოახდენს გლობალური კრიზისი გავლენას საქართველოზე ამასთან დაკავშირებით უწინარეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვა იმას, რომ ჩვენ ველით დახმარებას ამერიკიდან და ევროკავშირიდან; ეს დახმარება შესაძლოა, იმ სისწრაფით არ წამოვიდეს, რა სისწრაფითაც ჩვენ გავვიხარდებოდა, ხოლო იმ დროს, როცა ის წამოვა, იმ თანხების მსყიდველობითუნარიანობა ნაკლები იქნება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ როდესაც კრიზისია, პრობლემები ექმნებათ უცხოელ ინვესტორებს. უპირველესად, იმ უცხოელ ინვესტორებს, რომელთაც თავიანთი დანაზოგები განთავსებული აქვთ სხვადასხვა კომპანიების ფასიანი ქაღალდებში, რადგან, თუ ეს ფასიანი ქაღალდები კარგავს თავის ფასს, ბუნებრივია, საქართველოში უკვე არსებული და პოტენციალური ინვესტორები კარგავენ თავიანთ დანაზოგებზე მისაღებ შემოსავალს. მეორე მხრივ, გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, საკუთრივ ამ კომპანიებსაც უუფასურდებათ საკუთარი ფასიანი ქაღალდები. გადავხედოთ ქართულ

რეალობას: საქართველოში მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი არაბული ბიზნესი. რა არის მათი შემოსავლის ძირითადი წყარო? ნავთობი. ნავთობზე კი ფასი ეცემა, ანუ ეს კომპანიები უშუალო შემოსავლებს კარგავენ. მეორე მხრივ, ამ კომპანიებს თავინთი დანახოგები განთავსებული აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში, და რაკი კრიზისია, ისინი ამ დანახოგებიდან მისაღებ შემოსავლებსაც კარგავენ. ასე რომ, ის არაბული კომპანიები, რომლებიც, საქართველოს მასშტაბიდან გამომდინარე, აქ მრავლად იყო წარმოდგენილი, ინვესტიციებს დაგეგმილ ტემპებსა და მასშტაბებში ვერ განახორციელებენ. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა.

როდესაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი ეცემა, ექმნება თუ არა პრობლემა ყაზახურ ბიზნესს? რა თქმა უნდა, ექმნება. ასე რომ, ყველა პოტენციალური თუ მოქმედი ინვესტორები კარგავენ თავიანთ შემოსავლებს.

– ანუ აქ, საქართველოში, შეიძლება დარჩეს მხოლოდ პოლიტიკური მიზნის მქონე ბიზნესი, რუსული ბიზნესი?

– ფაქტია, რომ დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელება ყველას გაუჭირდება.

ამავდროულად, ქართულ ბაზარზე პრობლემები შეექმნათ ბანკებს: სერიოზულად დააკლდათ საკრედიტო რესურსი, იმიტომ რომ ომის დროს ხალხმა თანხა გაიტანა და ამ თანხის მხოლოდ ნაწილი დააბრუნა. დანარჩენი თანხა ან უცხოეთის ბანკებში განათავსა ან იმ უცხოურ ბანკებში, რომელთა წარმომადგენლობა არის საქართველოში, რომელთა მიმართ მოსახლეობას უფრო მეტი ნდობა აქვს. მხედველობაში მაქვს პროკრედიტბანკი, ბანკი რესპუბლიკა, ბანკი “ეიჩესბისი”...

– მართებულად ენდობა მოსახლეობას ამ თქვენ მიერ ჩამოთვლილ ბანკებს?

– რაც უფრო დიდია ბანკი და რაც უფრო დიდი რესურსი აქვს მას, მით უფრო სანდოა ის.

– თუ ბანკი უცხოურია, აქ რომ გაკოტრდეს კიდევ მისი ფილიალი, შენაბრეს სათავო ბანკი მაინც აუნაზღაურებს ზარალს?

– ასე მარტივად არ არის საქმე: ეს დამოკიდებულია იმაზე, ეს ცალკე დაფუძნებული იმავე სახელწოდების ბანკია თუ ფილიალი. თუ ცალკე დაფუძნებული ბანკია, შეიძლება დაიხუროს და მეტი არაფერი. ზოგადად, რაც შეეხება უცხოურ ბანკებს: ფინანსური კრიზისი ხომ მთელ მსოფლიოშია?

– **ესე იგი ყველაზე უსაფრთხოა “მუთაქა”?**

– თქვენ ამას ნახევრად ხუმრობით ამბობთ, მაგრამ დაკვირვებული ვარ, რომ ძალიან ბევრს დღეს სწორედ “მუთაქაში” აქვს შენახული ფული. ერთი სიტყვით, რაკი ბანკებს საკრედიტო რესურსი შემოაკლდათ, ბუნებრივია, კრედიტი გაძვირდა და, იცით, რომ კრედიტი ჯერ კიდევ ომამდე გაძვირდა. ჩვენი ბანკები საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე იაფი კრედიტებით სარგებლობდნენ, მაგრამ ეს კრედიტები ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა.

– **აბა, დავეხმარებით?**

– გაიხსნა საკრედიტო ხაზები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან, რის მიზანიც ქართული ბანკების მხარდაჭერაა. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები: კერძოდ, შედარებით იაფი კრედიტი მიაწოდა საბანკო სექტორს და ამავე დროს შეამცირა სავალდებულო რეზერვების ნორმა, 12-დან 5-პროცენტამდე. ეს აბსოლუტურად სწორი ნაბიჯია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის დამატებითი ფულის მასის მიწოდება ბაზრისთვის, რაც ინფლაციას უწყობს ხელს. ამას გარდა, მთავრობის მიზანია, რომ ამდენი დევნილი მოსახლეობა ზამთრამდე დაასახლოს, ამიტომ სახლები უნდა ააშენოს. რა თქმა უნდა, მშენებლობის პროცესში ამუშავდება ცემენტისა თუ აგურის ქარხნები, დასაქმდებიან ადამიანები, მაგრამ თავად მშენებლობს დროში განვრცობილი პროცესი საბოლოო ჯამში ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს. ამასთან, მთავრობამ განაცხადა, რომ ამ გაჭირვებულ მოსახლეობას უნდა დაურიგოს ვაუჩერები, ესეც სწორი ნაბიჯია, იმიტომ რომ მოსახლეობას არ აქვს გაზისა და ელექტროენერჯის საფასურის გადახდის საშუალება, ანუ მთავრობაც იძულებულია, გადადგას ის ნაბიჯები, რომლებიც იწვევს ინფლაციას. მაშასადამე, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკია იძულებული აამოქმედოს ინფლაციური მექანიზმები, რომ ბანკები არ გააკოტროს, მეორე

მხრივ, მთავრობაც ინფლაციურ ხარჯებს ეწევა. აი ამ სიტუაციამ აჩვენა ის შეცდომა, რომელიც მთავრობამ ამ გაზაფხულზე დაუშვა, როდესაც ძალით გაიტანეს ცვლილებები ეროვნული ბანკის შესახებ კანონში, რომელშიც ჩაწერეს, რომ ეროვნული ბანკის მიზანი არის ინფლაციის მოთოკვა. ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რომ ეს შეცდომა იყო, რადგან, ახლა კი ეროვნული ბანკი იძულებულია, გადადგას კანონით გაუმართლებელი ნაბიჯი: წავიდეს მაღალ ინფლაციაზე, ოღონდ არ გაკოტრდეს საბანკო სექტორი.

ახლა რაც შეეხება სამშენებლო სექტორს. განა თქვენი ჟურნალის ფურცლებზე არ ვამბობდით, რომ სამშენებლო სექტორი საფრთხეში იყო? რომ იქ პირამიდული სისტემა მოქმედებდა, რომელიც ერთ დღესაც აფეთქდებოდა? უბრალოდ ომმა დააჩქარა ეს პროცესი. რამდენიმე სამშენებლო კომპანია იძულებულია, შეაჩეროს საქმიანობა, იმიტომ რომ აღარ აქვს მშენებლობის დამთავრების რესურსი. სამშენებლო სექტორში სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ მთავრობა ცდილობს სამშენებლო კომპანიებს დეველოპისათვის სახლების ნაწილის მშენებლობა უფასოდ შეაწეროს. ის, რომ ესა თუ ის სამშენებლო კომპანია დღეს გაჩერებულია ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს კომპანია მართლაც გაკოტრებულია: შესაძლოა კომპანიამ დროებით შეაჩეროს თავის საქმიანობა, რომ მთავრობას შეაცოდოს თავი – “მიჭირს და უფასოდ სახლებს ვერ ავაშენებ”. დღეს რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ ბიზნესის დიდი ნაწილი კვლავ არალეგალური გახდეს.

ამას გარდა, საფრთხეებია მოსალოდნელი ვაჭრობაში: სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი ხომ სამომხმარებლო კრედიტით იყიდებოდა.

– უკვე შეინიშნება საქონლის დეფიციტი ბაზარზე.

– მყიდველიც აღარ არის იმდენი. ასე, რომ უნდა ველოდოთ შემცირებებს საბანკო სექტორში, მშენებლობაში, ვაჭრობაში.

კიდევ ერთ საფრთხეზეც მოგახსენებთ: დღეს ჩვენი სავაჭრო ბალანსი არის კატასტროფულად უარყოფითი – იმპორტი ოთხჯერ აღემატება ექსპორტს, ანუ ვაჭრობით ოთხჯერ მეტი ვალუტა გაედინება ქვეყნიდან. ამის კომპენსირება ხდება ორი წყაროთი: უცხოური ინვესტიციებითა და უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი თანამემამულეების მიერ ახლობლებისათვის

გამოგზავნილი ფულით. მოგახსენეთ, რომ მოსალოდნელია უცხოური ინვესტიციების შემცირება, მაგრამ ისიც ვთქვათ: კრიზისის პირობებში ფულადი გზავნილებიც ხომ შემცირდება? შესაბამისად, ვდგებით პრობლემის წინაშე: ლარის კურსი შეიძლება, დაეცეს და ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს უნდა გამოუყოს მორიგი კრედიტი 750 მილიონი დოლარის ოდენობით, რომელიც წავა ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად. ამერიკიდან ველით მილიარდ დოლარს, ევროკავშირიდან – სავარაუდოდ 500 მილიონ ევროს, ამ თანხის ნაწილი ადგილზე დაიხარჯება საქონლის შესასყიდად, ნაწილი კი ფულის სახით შემოვა და ბაზარზე ვალუტის დეფიციტის კომპენსაციის როლს შეასრულებს. აი, ამ საფრთხის წინაშე დგას დღეს ქართული ეკონომიკა. მაგრამ მთავარია, რომ ქვეყანას ჰყავდეს პროფესიული მთავრობა, რომელიც ხალხს ეტყვის სიმართლეს: ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ დროებით დავკარგეთ ტერიტორიები.

– ვერ ვიზიარებ თქვენს ოპტიმიზმს.

– როცა ომში დამარცხებული ხარ, გაქვს სერიოზული პრობლემები, ეს ჰპოვებს თავის ასახვას ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, მთავრობა ვერ გაეჭევა შედარებით მაღალ ინფლაციას, იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დევნილი მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ურთულესი პრობლემები შეიქმნება საბანკო სექტორში. იმავდროულად სასწრაფოდაა შესატანი ცვლილება კანონში ეროვნული ბანკის შესახებ, რომ ეროვნულ ბანკს დაუბრუნდეს ის ინსტიტუციური ძლიერება, რაც ცვლილებებამდე ჰქონდა.

ნინო ხაჩიძე